საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა ინოვაციური აქტივობა
2020

11.11.2021
www.geostat.ge

11.11.2021

საწარმოების ინოვაციური აქტივობა
გამოკვლევის ძირითადი შედეგები
(2020 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წლის განმავლობაში, საწარმოთა 7.3 პროცენტმა ბაზარზე შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დანერგეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა 7.7 პროცენტით. საქონლისა და მომსახურების ინოვაციები უმეტეს შემთხვევაში საწარმოების მიერ დამოუკიდებლად იყო შემუშავებული (შესაბამისად 42.1 პროცენტი და 33.6 პროცენტი). სხვა შემთხვევებში ამ კუთხით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისაგან. განხორციელებული ინოვაციების 47.4 პროცენტი ახალი იყო საწარმოებისთვის, ხოლო 52.6 პროცენტი - სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის.

საწარმოთა მიერ ახალი ან გაუმჯობესებული ბიზნეს პროცესების ინოვაციების სტრუქტურა და მათი პროცენტული განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკში:

საწარმოთა მიერ 2020 წელს შემოტანილი ახალი ან გაუმჯობესებული ბიზნეს პროცესების ინოვაციები, (%)



საწარმოთა მიერ ახალი ან გაუმჯობესებული ბიზნეს პროცესების ინოვაციების 62.5 პროცენტი შემუშვებულ იქნა უშუალოდ საწარმოს მიერ, 16.3 პროცენტი - სხვა საწარმოებთან ან დაწესებულებებთან ერთად, 11.9 პროცენტი - სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ, ხოლო 9.3 პროცენტი მოდის საწარმოების მიერ სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული საქონლის/მომსახურების ადაპტირება - მოდიფიცირების განხორციელებაზე.

ეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიების შეფასებისას ფოკუსირებას მაღალ ხარისხზე საწარმოთა 17.6 პროცენტმა მიანიჭა მაღალი მნიშვნელობა, ხოლო საწარმოთა 13.7 პროცენტი მაღალ მნიშვნელობას ანიჭებს ფოკუსირებას არსებული საქონლის/მომსახურების გაუმჯობესებაზე.

ბიზნეს გარემოს შეფასებისას, ძირითად გამოწვევად დაფიქსირდა საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდა, რაც იწვევს კლიენტების დაკარგვას.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა 1.2 პროცენტმა იყიდა ან მიიღო ლიცენზია პატენტზე ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე (IPR), რომლის 62.3 პროცენტი შეძენილ ან მიღებულ იქნა კერძო ბიზნეს საწარმოებისგან ან ფიზიკური პირებისგან.

კლიმატის ცვლილების შედეგების გავლენის შეფასებისას საწარმოთა 45.9 პროცენტმა მაღალი მნიშვნელოვნება მიანიჭა იმ გარემოებას, რომ კლიმატის ცვლილება იწვევს ხარჯების ან ფასების ზრდას ნედლეულზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge